სასწავლო ოლიმპიადა ქართულ ენაში

(დასკვნითი ეტაპის დავალებები არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის)

ქართული ენის ოლიმპიადის მესამე ეტაპზე მოგეთხოვებათ ***ორი დავალების*** შესრულება.

დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ ***4 საათი.***

თითოეული ნაშრომის ***მაქსიმალური ქულაა 20.***

ყურადღება: ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ ***პასუხების ფურცელზე.*** მხოლოდ ტესტის რვეულში შესრულებული დავალებები ***არ გასწორდება.***

არსად მიუთითოთ სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში დავალებები ***არ შეფასდება.***

წერითი დავალება №1

მოიფიქრეთ სათაური და დაწერეთ მოთხრობის გაგრძელება.

ამბობენ, ბავშვები ცნობისმოყვარეები არიანო. ასეა, მაგრამ არის ამაში რამე განსაკუთრებული? კარადაში შეძრომის, უჯრების ქექვისა და თვალიერების გარეშე ბავშვები იზრდებიან?! მეც ასეთი ვარ.

ვინ იცის, რამდენჯერ გამოვაღე მამას მაგიდის უჯრა.

რამდენჯერ მივაგენი სამზარეულოში გადამალულ ტკბილეულს.

რამდენჯერ ჩავიჭყიტე ჩემი დის დღიურში.

ყველაზე დიდ ინტერესს რატომღაც ჩვენი სხვენი იწვევდა. არ ვიცი, რას ველოდი ან რას ვეძებდი, რა უნდა მენახა, რა მინდოდა ...

შავი სამუშაოსათვის

წერითი დავალება №2

ინსტრუქცია:

მოცემული სათაურის მიხედვით დაწერეთ ესე.

სასურველია, ნაშრომი დაახლოებით ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი, სხვათა ნაამბობი, საკუთარი გამოცდილება და ა. შ.

შავი სამუშაოსათვის დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.***

ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

არსად მიუთითოთ სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში დავალება ***არ შეფასდება.***

გისურვებთ წარმატებას!

დაწერეთ ესე მოცემული სათაურის მიხედვით:

ჩემი მასწავლებელი ცხოვრებაა.

შავი სამუშაოსათვის